




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაკობიძე დავით ალექსანდრეს ძე



დ. იაკობიძე

იაკობიძე დავით ალექსანდრეს ძე (დ. 1. IV. 1946, დაბა საჩხერე, ახლანდ. ქალაქი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1976), პროფესორი (2013), ქ. ჭიათურის საპატიო მოქალაქე (2014).

დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1968). იყო საქართვე. ეკონ. და მართვის ინ-ტში ფინანსებისა და ფასწარმოქმნის განყ-ბის გამგე (1978-82), საქართვე. სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის პოლიტ. ეკონომიის კათედრის გამგე (1982-89), სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ინ-ტის საბაზრო ეკონ. განყ-ბის გამგე (1989-91), საქართვე. ფინანსთა მინისტრი (1993-97). 2000-01 ხელმძღვანელობდა ადამიანის განვითარების პირობების

შემსწავლელ სამეცნ. ცენტრს, 2001-03 მუშაობდა საქართვე. პრეზიდენტის კანცელარიაში მრჩეველად, 2006-იდან არის თსუ-ის, ხოლო 2013-იდან საქართვე. ტექ. უნ-ტის პროფესორი.

ი. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. მონოგრაფიების) და პუბლიც. წერილებისა. მისი სამეცნ. შრომები ეხება საქართვე. ეკონ. განვითარების საკითხებს გლობალიზაციის პირობებში, მისი ფუნქციონირების მაკროეკონომიკურ ამოცანებს და მათი გადაწყვეტის სპეციფ. მექანიზმს.

ი. 1994–97 მონაწილეობას იღებდა საქართვე. პირველი სახელმწ. ბიუჯეტის ფორმირებაში, ეროვნ. ფულადი ერთეულის – ლარის გამოშვებაში, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაში, ერთიანი საერთაშ. სტანდარტების დანერგვაში, ეროვნ. ხაზინისა და გარაფხანის შექმნაში და სხვ. მისი ხელმოწერაა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ეროვნ. ვალუტაზე – ლარზე.

თხზ.: საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თბ., 2009; გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე, თბ., 2011.
